პროექტის სახელწოდება:

„გააზრებული მხარდაჭერა - ხელი შეეწყოს მომდევნო საარჩევნო ციკლებისათვის ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძის, ახალციხის, წალკისა და ბორჯომის საარჩევნო ოლქებში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი ამომრჩევლების ფართო რაოდენობრივ და ხარისხობრივ ჩართულობას ელექტორალურ პროცესში“

პროექტის მიზნები და ამოცანები

- 2014 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პროცესში ეთნიკური სომხების რაოდენობრივი და თვისობრივი ჩართულობის დინამიკის შესწავლა და მისი შედარება წინა წლების არჩევნების გამოცდილებასთან;
- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პროცესში ეთნიკურად სომეხ ამომრჩეველთა აქტიური ჩართულობის დამაბრკოლებელი ფაქტორების, მათი საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით რეალიზებული საგანმანათლებლო ან სხვა ღონისძიებების ეფექტურობის გამოკვლევა და შესაბამისი საჭიროებების განსაზღვრა;
- კვლევების ანალიზის შედეგად, არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირების გრძელვადიანი გზამკვლევის შემუშავება ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების ელექტორული ქცევის კვლევა

ელექტორულ პროცესებში რაოდენობრივი და ხარისხობრივი ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი და რეაგირების მექანიზმი

EUROPEAN CENTRE for MINORITY ISSUES

კვლევის შეჯამება

- კვლევა წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური სომხების ელექტორული ჩართულობის ყოვლისმომცველ მიმოხილვას
- ის აგრეთვე რეკომენდაციებს სთავაზობს ყველა დაინტერესებულ მხარეს ჩართულობის მდგომაროების გასაუმჯობესებლად
- **მიზანი** - სიტუაციის მრავლისმომცველი ანალიზით და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის გზით ხელი შეუწყოს **ახალქალაქში, ახალციხეში, ასპინძაში, ბორჯომში, ნინოწმინდასა და წალკაში** მცხოვრები ეთნიკური სომხების ინფორმირებულ ჩართულობას საარჩევნო პროცესებში.
- კვლევის განხორციელების **პერიოდი** - ივლისი-ოქტომბერი, 2015

მეთოდოლოგია

1. <u>2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ეთნიკური სომხების წარმომადგენლობისა და მონაწილეობის დინამიკა</u>
   - **კვლევის დიზაინი:** შედარებითი „სამაგიდო“ კვლევა (2014 vs 2010; 2013)
   - **შერჩევა:** უბნები **(სულ 125)** - ახალქალაქი (61), ახალციხე (15), ასპინძა (1), ბორჯომი (3), ნინოწმინდა (32), წალკა (13)

2. **2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ეთნიკურად სომეხ ამომრჩეველთა მონაწილეობის დამაბრკოლებელი (შემაფერხებელი) ფაქტორების შესწავლა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობისთვის განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის ანალიზი**
   - <u>რაოდენობრივი</u>
     - შერჩევა - 341 რესპონდენტი (105 ქალაქი, 236 სოფელი)
     - მეთოდი - სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევა (6 მუნიციპალიტეტის, 3 ქალაქი და 18 სოფელი)
     - კითხვარი 4 ენაზე - ქართულის, სომხური, რუსული, ინგლისური
     - მონაცემთა დამუშავება - SPSS

   - <u>თვისობრივი</u>
     - მეთოდი - ფოკუს ჯგუფები
     - რაოდენობა - 3 (ნინოწმინდა, ახალქალაქი, ბაკურიანი - 3 სესია)
     - მონაწილეთა რაოდენობა - ჯამში 36, 6-ვე მუნიციპალიტეტიდან
     - ფოკუს ჯგუფების თითო სესიის ხანგრძლივობა - 2-3 საათი

ძირითადი მიგნებები

- ეთნიკური სომხების ჩართულობა ელექტორულ პროცესებში იკლებს (2014 წლის მაგალითი)
- საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შორის ეთნიკური სომხების რაოდენობა გაიზარდა 2014 წელს 2013 წელთან შედარებით
- საოლქო საარჩევნო კომისიებში ეთნიკური სომხების პროპორციული წარმომადგენლობითობის პრობლემა დგას ცალკეულ ოლქებში
- მონაწილეობის ხელისშემშლელი სამი ძირთადი ფაქტორია: 1. „ჩემი ხმა არაფერს შეცვლის“ მიდგომა 2. ადგილობრივი პოლიტიკოსებისადმი უნდობლობა 3. ამომრჩეველთა ინტერესების შესაბამისი კანდიდატის არარსებობა
- საპრეზიდენტო არჩევნები 35.9%-ის მიერ მიჩნეულია ყველაზე მნიშვნელოვან არჩევნებად, 35.1% თვლის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია ყველაზე მნიშვნელოვანი, ხოლო 29% გამოკვეთს საპარლამენტო არჩევნების დიდ მნიშვნელობას
- სომხები არ გამორიცხავენ **მმართველი ძალისადმი** მუდმივი მხარდაჭერის ტენდენციის არსებობას. მათი რაოდენობა, ვინც მმართველ პარტიას ყოველთვის უჭერს მხარს ხუთჯერ მეტია იმ ამომრჩეველთა რაოდენობაზე, ვინც არასდროს უჭერს მხარს.
- მონაწილეთა ნახევარზე მეტმა (52.3%) ხაზი გაუსვა ტელევიზიის მნიშვნელობას არჩევნების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროცესში. ტელევიზიას მოჰყვება კანდიდატთა წინასაარჩევნო შეხვედრები (36.1%), ინტერნეტი (35.2%) და მეგობრები/ოჯახის წევრები 20.6%
- დაბალი ცნობიერება არჩევნებთან დაკავშირებით განსაკუთრებით სოფლებსა და საშუალო ასაკის (28-45) მოსახლეობაში
- განსხვავება ფორმალურ და დე-ფაქტო მიდგომებს შორის ქალ კანდიდატებთან მიმართებაში
- ხმის მიცემასთან დაკავშირებით ტრადიციული მიდგომა - ოჯახზე/კლანზე დაფუძნებული და დამოკიდებულება მმართველ პარტიასთან
- ცესკო-ს აქტივობების ეფექტურობის შეფასებები (სხვადასხვა მოწონების/ხელმისაწვდომობის ხარისხით)
- შეზღუდული ინფორმაცის მიღება სომხურ ენაზე

ძირითადი რეკომენდაციები

- ცესკო-მ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს სოფლის მოსახლეობაზე საკუთარ აქტივობებში

- ცესკომ უფრო მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ადგილობრივ მედიასთან გრძელვადიანი პროექტების განხორციელების მიზნით, რაც გაზრდის არჩევნებში მონაწილეობისადმი ინტერესს

- რეკომენდირებულია საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მჭიდრო თანამშრომლობა ცესკოსთან სამიზნე რეგიონში საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალურ დონეზე განვითარების მიზნით.

- ადგილობრივმა მედიამ უზრუნველყოს ანალიტიკური პროგრამების და დებატების უფრო ხშირი გაშუქება არჩევნებამდე, რაც საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერილი უნდა იყოს სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ.

- გაძლიერდეს მცდელობები რომ სოციო-ეკონომიკური ინიციატივებით და ქართული ენის სწავლების მხარდაჭერით მოხდეს უკეთესი ინტეგრაცია

- დონორმა ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღოს სოფლის მოსახლეობის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები

- პოლიტიკური პარტიებისათვის რეკომენდირებულია ადგილობრივი ახალგაზრდების და ახალგაზრდა პოლიტიკოსების ინტეგრაცია თავიანთ რიგებში, ვინაიდან ისინი ადგილობრივ პრობლემებში უკეთ ერკვევიან და აქვთ რეგიონის განვითარებაში წვლილის შეტანის სურვილი

პუბლიკაცია

- „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების ელექტორული ქცევის კვლევა“

- **ორენოვანი პუბლიკაცია- ქართული; ინგლისური**
- **700 ასლი - 500 ქართული; 200 ინგლისური**
- **<u>თავი 1:</u>** შესავალი - შემაჯამებელი დასკვნა
- **<u>თავი 2:</u>** კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებზე დაყრდნობით
- **<u>თავი 3</u> :** არჩევნებში მონაწილეობის დინამიკის არსებული ოფიციალური მონაცემების ანალიზი და ეთნიკური სომხების წარმომადგენლობითობა საარჩევნო ადმინისტრაციაში
- **<u>თავი 4</u> :** ეთნიკური სომხების ელექტორული ქცევა: რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს/ხელს უშლის მათ [არ]ჩართულობას და რა განსაზღვრავს მათ ელექტორულ პრეფერენციებს; სხვადასხვა აქტორების მიერ განხორციელებული აქტივობების და მექანიზმების ეფექტიანობა
- **<u>თავი 5</u> :** ზოგადი და კონკრეტული რეკომენდაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს მათი მანდატის და კომპეტენციების ფარგლებში

კვლევის პრეზენტაცია

- კვლევის პრეზენტაცია ჩატარდა მეიდანზე არსებულ რესტორან „BCN Hispania“-ში.
- პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საელჩოების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სომხური ეთნოსის წარმომადგენლები.
- პრეზენტაცია გააშუქა მედიამ.

კვლევის პრეზენტაცია

კვლევის პრეზენტაცია

გმადლობთ ყურადღებისთვის!!!